




INNOX

We Do Finance

შპს „ნეზ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს “ნეზ გეორგია”

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
1 ზოგადი ინფორმაცია.....	8
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
2.1 მომზადების საფუძვლები	8
2.2. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
2.3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	11
3 ძირითადი საშუალებები	13
4 ფული და ფულის ექვივალენტები	13
5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნები	13
6 კაპიტალი.....	14
7 მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები	14
8 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15
9 ამონაგები	15
10 რეალიზაციის თვითღირებულება.....	15
11 მიწოდების და მომსახურების ხარჯები.....	15
12 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	15
13 წმინდა (დანაკარგი) / შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან	16
14 ფინანსური ხარჯი	16
15 მოგების გადასახადი	16
16 დაკავშირებული მხარეები	16
ოპერაციები მმართველ რგოლთან.....	16
ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან	16
17 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	16

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ნეზ გეორგიას“ ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ნეზ გეორგიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ჩვენი დასკვნის “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2022 წლის ბოლოს კომპანიის მიერ ჩატარებულ სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2022 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ნაღდი ფულისა და სასაქონლო-მატერიალური მარაგების რაოდენობის სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო შესაბამისად 420,972 ლარისა და 16,352 ლარის ღირებულებით (2021: 86,888 ლარისა და 262,496 ლარის). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ ნაღდ ფულთან და სასაქონლო-მატერიალურ მარაგთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური ანგარიშგების მე-5 განმარტებით შენიშვნაში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს 1,083,796 ლარის მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან, მათ შორის 1,021,538 ლარის ვადაგადაცილებული მოთხოვნები (2021: 1,250,007 ლარი და 712,193 ლარი), რომლებზეც კომპანიას არ აქვს შექმნილი გაუფასურების ანარიცხი, შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ ნაშთთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური ანგარიშგების მე-5 განმარტებით შენიშვნაში, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა 295,714 ლარის მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ. ჩვენ ვერ დარწმუნდით აღნიშნული ნაშთის კლასიფიკაციის სიზუსტეში, შესაბამისად, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ ნაშთთან და მის მაკორესპოდენტო მუხლებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“. ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მფლობელებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

19 დეკემბერი, 2023

შპს „ინოქსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404539674; SARAS-F-481994)

ირაკლი ჭილაძე (SARAS-A-509177)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ნეზ გეორგიას“ ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ნეზ გეორგიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ჩვენი დასკვნის “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2022 წლის ბოლოს კომპანიის მიერ ჩატარებულ სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2022 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ნაღდი ფულისა და სასაქონლო-მატერიალური მარაგების რაოდენობის სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო შესაბამისად 420,972 ლარისა და 16,352 ლარის ღირებულებით (2021: 86,888 ლარისა და 262,496 ლარის). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ ნაღდ ფულთან და სასაქონლო-მატერიალურ მარაგთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური ანგარიშგების მე-5 განმარტებით შენიშვნაში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს 1,083,796 ლარის მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან, მათ შორის 1,021,538 ლარის ვადაგადაცილებული მოთხოვნები (2021: 1,250,007 ლარი და 712,193 ლარი), რომლებზეც კომპანიას არ აქვს შექმნილი გაუფასურების ანარიცხი, შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ ნაშთთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური ანგარიშგების მე-5 განმარტებით შენიშვნაში, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა 295,714 ლარის მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ. ჩვენ ვერ დარწმუნდით აღნიშნული ნაშთის კლასიფიკაციის სიზუსტეში, შესაბამისად, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ ნაშთთან და მის მაკორესპოდენტო მუხლებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:


- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მფლობელებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

19 დეკემბერი, 2023

შპს „ინოქსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404539674; SARAS-F-481994)

ი. 



ირაკლი ჭილაძე (SARAS-A-509177)

შპს „ნეზ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-22	31-12-21
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	2,082,352	2,371,809
არამატერიალური აქტივები		1,119	1,398
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,083,471	2,373,207
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	421,061	86,888
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		16,352	262,496
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,925,864	2,513,052
გაცემული სესხები		234,003	21,200
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,597,280	2,883,636
მთლიანი აქტივები		4,680,751	5,256,843
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		8,605	8,605
გაუნაწილებელი მოგება		2,170,604	2,291,328
სულ კაპიტალი	6	2,179,209	2,299,933
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	161,705	362,631
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		161,705	362,631
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1,499,247	1,403,016
საგადასახადო ვალდებულებები		40,581	122,613
მოკლევადიანი სესხები	7	800,009	1,068,650
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,339,837	2,594,279
მთლიანი ვალდებულებები		2,501,542	2,956,910
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,680,751	5,256,843

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 4-16 გვერდის ჩათვლით დირექტორის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 19 დეკემბერს

ოსმან ქემალ ბაირაქთარი, 22777311684 , U23317921 /თურქეთი/
დირექტორი

შპს „ნეზ გეორგია“


ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-22	31-12-21
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	2,082,352	2,371,809
არამატერიალური აქტივები		1,119	1,398
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,083,471	2,373,207
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	421,061	86,888
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		16,352	262,496
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,925,864	2,513,052
გაცემული სესხები		234,003	21,200
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,597,280	2,883,636
მთლიანი აქტივები		4,680,751	5,256,843
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		8,605	8,605
გაუნაწილებელი მოგება		2,170,604	2,291,328
სულ კაპიტალი	6	2,179,209	2,299,933
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	161,705	362,631
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		161,705	362,631
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1,499,247	1,403,016
საგადასახადო ვალდებულებები		40,581	122,613
მოკლევადიანი სესხები	7	800,009	1,068,650
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,339,837	2,594,279
მთლიანი ვალდებულებები		2,501,542	2,956,910
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,680,751	5,256,843

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 4-16 გვერდის ჩათვლით დირექტორის სახელით დამტკიცებულია
გამოსაშვებად 2023 წლის 19 დეკემბერს



ოსმან ქემალ ბაირაქთარი, 22777311684, U23317921 /თურქეთი/
დირექტორი

შპს „ნეზ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	9	4,181,897	4,913,326
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(754,432)	(1,274,351)
საერთო მოგება		3,427,465	3,638,975
წმინდა მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		-	(58,351)
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	11	(1,359,423)	(1,039,023)
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,691,109)	(1,668,728)
სხვა ხარჯები		(818)	(21,216)
სულ საოპერაციო ხარჯები		(3,051,350)	(2,787,318)
საოპერაციო მოგება		376,115	851,657
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	13	157,686	65,933
სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი/(შემოსავალი)		-	52,991
ფინანსური ხარჯი	14	(93,799)	(85,591)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		440,002	884,990
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		440,002	884,990
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		440,002	884,990

შპს „ნეზ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	8,605	1,785,682	1,794,287
კაპიტალის ზრდა	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	884,990	884,990
გადახდილი დივიდენდები	-	(379,344)	(379,344)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	8,605	2,291,328	2,299,933
კაპიტალის ზრდა	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	440,002	440,002
გადახდილი დივიდენდები	-	(560,726)	(560,726)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	8,605	2,170,604	2,179,209

შპს „ნეზ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება / (ზარალი)		440,002	884,990
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	3	332,893	286,896
ძირითადი საშუალებების გასვლა/გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალი	3	-	58,351
წმინდა დანაკარგი/(შემოსულობა) სავალუტო ოპერაციებიდან:	13	(157,686)	(65,933)
ფინანსური ხარჯი	14	93,799	85,591
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		587,188	(1,061,457)
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		246,144	71,419
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		96,231	260,376
ცვლილება გადასახადებში		(82,032)	50,200
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,556,539	570,433
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	3	(43,157)	(1,900,480)
არამატერიალური აქტივის შეძენა		-	-
ძირითადი საშუალების გაყიდვა	3	-	679,447
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(43,157)	(1,221,033)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გაცემული სესხების წმინდა მოძრაობა		(212,803)	(6,428)
მიღებული სესხების წმინდა მოძრაობა	7	(405,680)	1,060,684
კაპიტალში შენატანი	6	-	-
გადახდილი დივიდენდი	6	(560,726)	(379,344)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(1,179,209)	674,912
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის		86,888	62,576
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		334,173	24,312
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		421,061	86,888

შპს „ნეზ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნეზ გეორგია“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2016 წლის 5 მაისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით [ს/ნ:402033054] საქართველოს რეგულაციების შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე - ჩუღურეთის რაიონი, ჩუბინაშვილის ქ. N68, ბ. N45. კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრე და დირექტორი არის ოსმან ქემალ ბაირაქთარი, 22777311684 , U23317921 /თურქეთი/.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკულტივაციო მომსახურების გაწევა და ხე-ტყის მასალით ვაჭრობა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა რაოდენობაა 12 (2021: 18).

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დამშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, ამავე (მე-2) განმარტებით შენიშვნაში.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

2.2. სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში

განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

შპს „ნეზ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.7020	2.8844
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.0976	3.5040

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

	წელი
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	7
ოფისის აღჭურვილობა	3

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ზარაში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის კომპანია საშუალო შეწონილ მეთოდს.

შპს „ნეზ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი. იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, კომპანია მარაგს აფასებს მათი გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

მარაგები ხარჯად აღიარდება როდესაც გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია, საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს, ან საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

საგადასახადო ვალდებულებები / აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2022 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე).

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის კომპანიის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. საწარმოს ვალდებულება არის მისი მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა საწარმოდან.

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატება, რომელიც მიღებულ იქნა საწარმოს მოგებიანი საქმიანობებიდან და

8-16 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ნეზ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა ან/და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

მიღებული სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება ტრანზაქციის ღირებულებით, რაც წარმოადგენს გადასახდელი ფულის მიმდინარე ღირებულებას ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით. სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და საპროცენტო ხარჯი აღიარდება ფინანსურ ხარჯებში.

აღებული სესხები აღიარდება მოკლევადიან ვალდებულებად, თუ მის დასაფარად ანგარიშგების თარიღიდან დარჩენილია არაუმეტეს 12 თვე.

ფინანსური იჯარა

ფინანსური იჯარის ვადის დასაწყისისათვის კომპანია აღიარებს მის უფლებებს აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებებს ფინანსურ იჯარაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულების გასაანგარიშებელი დისკონტირების განაკვეთია საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, თუ მისი დადგენა შესაძლებელია; თუ არა, გამოყენება მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი.

კომპანია მინიმალურ საიჯარო გადასახდელებს ანაწილებს დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში ფინანსური ხარჯები თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ნაწილდება ისე, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულების ნაშთის მიმართ. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

კომპანია ხარჯს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

2.3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის გაცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შპს „ნეზ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები ცვდება განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებაზე აქტივის გამოყენების შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელის მიღების პერიოდთან დაკავშირებით.

აღნიშნული შეფასება პერიოდულად გადაიხედება. შეფასებების ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს აქტივების საბალანსო ღირებულებასა და შესაბამისი პერიოდების ცვეთის ხარჯზე. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

შპს „ნეზ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3 ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება				
31 დეკემბერი 2020	1,646,382	-	40,915	1,687,297
შემოსვლა	1,743,735	153,952	2,793	1,900,480
გასვლა	(850,604)	-	-	(850,604)
31 დეკემბერი 2021	2,539,513	153,952	43,708	2,737,173
შემოსვლა	43,157	-	-	43,157
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	2,582,670	153,952	43,708	2,780,330
ცვეთა და გაუფასურება				
31 დეკემბერი 2020	(185,722)	-	(5,902)	(191,624)
პერიოდის ცვეთა	(265,733)	(12,829)	(7,984)	(286,546)
გასვლა	112,806	-	-	112,806
31 დეკემბერი 2021	(338,649)	(12,829)	(13,886)	(365,364)
პერიოდის ცვეთა	(305,413)	(20,160)	(7,041)	(332,614)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(644,062)	(32,989)	(20,927)	(697,978)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2020	1,460,660	-	35,013	1,495,673
31 დეკემბერი 2021	2,200,864	141,123	29,822	2,371,809
31 დეკემბერი 2022	1,938,608	120,963	22,781	2,082,352

4 ფული და ფულის ექვივალენტები

	31-12-22	31-12-21
ნაღდი ფული სალაროში	420,972	86,888
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	89	-
სულ	421,061	86,888

ფულადი სახსრები განთავსებულია წამყვან ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე და არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი

5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნები

	31-12-22	31-12-21
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,083,796	1,250,007
მოთხოვნები ანგარიშგაღებულ პირების მიმართ	-	295,714
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	842,068	967,331
სულ	1,925,864	2,513,052

შპს „ნეზ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 8,605 ლარს, რომელიც შევსებულია 2019 წელს.

2022 წლის სრულმა შემოსავალმა შეადგინა 440,002 ლარი, ხოლო 2022 წლის განმავლობაში განაწილებულმა დივიდენდმა 560,726 ლარი.

7 მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები

	31-12-22	31-12-21
სესხი იურიდიული პირებისგან	961,714	1,124,552
ვალდებულება ფინანსური იჯარიდან	-	306,729
სულ	961,714	1,431,281

დეტალური ინფორმაცია გრძელვადიანი მიღებული სესხების შესახებ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ვალუტა	სესხის აღების თარიღი	პროცენტი	საწყისი ნაშთი	სესხის პროცენტი	პროცენტის გადახდა	ძირის გადახდა	გადაფასება	31-12-22
სს თიბისი ბანკი	USD	10-09-21	5,75%+რე ფ.	192,477					137,121
სს თიბისი ბანკი	USD	13-09-21	5,75%+რე ფ.	251,578	27,515	(27,515)	(76,886)	(50,850)	179,198
შპს ჯორჯიან მანგანეზი	USD	10-08-21	9%	577,826	43,772	-	-	(73,544)	548,054
შპს მნ კორპი	USD	13-07-21	9%	102,671	7,738	-	-	(13,068)	97,341
სულ სასესხო ვალდებულება იურიდიული პირების მიმართ									961,714

დეტალური ინფორმაცია გრძელვადიანი მიღებული სესხების შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ვალუტა	სესხის აღების თარიღი	პროცენტი	სესხის ძირი	სესხის პროცენტი	ჯარიმა	სესხის დაფარვა	ჯარიმის დაფარვა	31-12-21
სს თიბისი ბანკი	USD	10-09-21	5,75%+რეფ.	202,521	-	-	(10,043)	-	192.477
სს თიბისი ბანკი	USD	13-09-21	5,75%+რეფ.	264,690	-	-	(13,112)	-	251.578
შპს ჯორჯიან მანგანეზი	USD	10-08-21	9%	621,000	20,546	-	(63,720)	-	577.826
შპს მნ კორპი	USD	13-07-21	9%	100,007	4,156	-	(1,492)	-	102.671
სულ სასესხო ვალდებულება იურიდიული პირების მიმართ									1,124,552

შპს „ნეზ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	31-12-22	31-12-21
მიმდინარე ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე (ლარი)	-	306,729
გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე (ლარი)	-	-
სულ	306,729	306,729

8 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-12-22	31-12-21
მოწოდებიდან ან მომსახურებიდან	987,863	1,186,038
მიღებული ავანსები	511,384	216,978
სულ	1,499,247	1,403,016

9 ამონაგები

	2022	2021
შემოსავალი მომსახურებიდან	4,162,236	3,528,321
შემოსავალი მარაგების რეალიზაციიდან	19,661	353,040
შემოსავალი რეკულტივაციიდან	-	1,031,964
სულ	4,181,897	4,913,326

10 რეალიზაციის თვითღირებულება

	2022	2021
რეალიზაციის თვითღირებულება	(754,432)	(1,274,351)
სულ	(754,432)	(1,274,351)

11 მიწოდების და მომსახურების ხარჯები

	2022	2021
მძიმე ტექნიკის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები	(34,380)	(110,787)
საწვავის ხარჯები	(1,324,709)	(924,490)
საბანკო ხარჯები	(334)	(3,746)
სულ მიწოდების და მომსახურების ხარჯები	(1,359,423)	(1,039,023)

12 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(732,901)	(921,719)
იჯარის ხარჯები	(68,059)	(300,480)
ცვეთა და ამორტიზაცია	(332,893)	(286,896)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(15,460)	(52,438)
ექსკავატორის ხარჯები	(112,159)	(9,174)
სხვა ხარჯები	(188,984)	(73,859)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(240,653)	(24,162)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,691,109)	(1,668,728)

8-16 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ნეზ გეორგია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

13 წმინდა (დანაკარგი) / შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან

	2022	2021
წმინდა შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან	158,921	80,534
წმინდა დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	(1,235)	(14,601)
სულ	157,686	65,933

14 ფინანსური ხარჯი

	2022	2021
სესხის პროცენტის ხარჯი	(79,026)	(31,108)
ფინანსური იჯარის ხარჯი	(14,773)	(54,483)
სულ	(93,799)	(85,591)

15 მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადმა 2022 წელს შეადგინა 0 ლარი (2021: 0 ლარი).

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების შედეგად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

16 დაკავშირებული მხარეები

ოპერაციები მმართველ რგოლთან

უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის შრომის ანაზღაურებამ 2022 წლისათვის შეადგინა 77,381 ლარი (2021: 174,738 ლარი)

ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიას არ ჰყავს დაკავშირებული მხარეები, შესაბამისად არ არის წარმოდგენილი ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.

17 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 4-16 გვერდის ჩათვლით დირექტორის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 19 დეკემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გაანაწილა 589,474 ლარის ოდენობის დივიდენდები.



Info@inox.ge



34 I.Abashidze str.